

საქართველოში ელექტრონული მმართველობის
ეფექტიანობის შეფასება
სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მაგალითზე

თათია ჯობავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ ლაბაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

სარჩევი

აბსტრაქტი.....	2
შესავალი	5
თავი I. ელექტრონული მმართველობის ზოგადი მიმოხილვა	8
1.1 საზოგადოებაზე ორიენტირებული მმართველობა	8
1.2 ელექტრონული მმართველობის განვითარება და მისი უპირატესობები	14
1.3 ელექტრონული მმართველობის განვითარება საქართველოში	21
თავი II. ელექტრონული მმართველობის ეფექტიანობის შეფასება სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში.....	28
2.1 საქართველოს სააღსრულებო სისტემა	28
2.2 ელექტრონული სერვისების შეფასების მეთოდოლოგია	32
2.2.1 ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა.....	35
2.2.2 ელექტრონული აუქციონი სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში	40
2.2.3 სააღსრულებო წარმოების პროგრამა	42
2.2.4 ერთიანი ანალიზი.....	44
დასკვნა	52
გაუმჯობესების რეკომენდაციები	53
გამოყენებული ლიტერატურა	54
დანართი #1	57
დანართი #2.....	57
დანართი #3.....	58

აბსტრაქტი

ელექტრონული მმართველობის პროცესების შესწავლა შეუქცევადი და საკმაოდ აქტუალურია გლობალური გამოწვევების საპასუხოდ და ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

კომპიუტერული ტექნოლოგიების, ციფრული ტექნოლოგიების და ტელეკომუნიკაციების ზრდამ შესაძლებელი გახადა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ურთიერთდაკავშირება და დროული, სწრაფი ინტეგრაციული პროცესების განვითარება, რაც დიდ გავლენას ახდენს ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. საქართველოში ციფრულ პროცესებს და ტექნოლოგიურ ცვლილებებს დიდი გავლენა აქვს ქვეყნის მართვაში, ბიზნეს სივრცისა და ელექტრონული ბიზნესის განვითარებისათვის. საქართველო წლებია აქტიურად მონაწილეობს ელექტრონული მმართველობის დანერგვის პროცესში. ბუნებრივია, არსებობს ბევრი ხარვეზი და გამოწვევა, რაც შეუქცევადი პროცესია, თუმცა ამ პროცესში ქვეყანა ცდილობს დანერგოს მრავალფუნქციური სერვისები, რომელთა გამოყენებაც დაეხმარება სამუშაო პროცესის სიმარტივეს, დროის დაზოგვასა და ბიუჯეტის ხარჯების შემცირებაში.

სადისერტაციო კვლევის მიზანია, გაანალიზოს და შეისწავლოს საქართველოში, კერძოდ იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მაგალითზე, ელექტრონული მმართველობის ეფექტიანობა.

ამ მიზნებიდან გამომდინარე, გაანალიზებულია ელექტრონული მმართველობის პროცესები საქართველოში, კერძოდ სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში. ეფექტიანობის შესაფასებლად, კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია ინვესტიციების, დანერგილი ელექტრონული სერვისების ხარჯ-სარგებლიანობაზე, პარალელურად არსებულ თუ წინამორბედ არაელექტრონულ საშუალებებთან შედარებით. უფრო ზუსტად თუ განვმარტავთ, იმის დადგენა, აღემატება თუ არა სერვისების დანერგვით მიღებული სარგებელი მათი დანერგვის ხარჯს, გარდა ამისა,

ყურადღება გამახვილებულია დროით მაჩვენებელზე, პროგრამის დანერგვით მიღებულ სარგებელზე და დაზოგილ დროზე.

სადისერტაციო ნაშრომში შეფასებულია შემდეგი ელექტრონული სერვისების ეფექტიანი მუშაობა: ელექტრონული კანცელარია, ელექტრონული აუქციონი, სააღსრულებო წარმოებათა რეესტრი.

კვლევაში ნაჩვენებია, ელექტრონული მმართველობის როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარებაში. გაანალიზებულია საქართველოში ელ.მმართველობის განვითარების პოტენციალი და გამოწვევები.

ნაშრომში ასევე შეფასებულია COVID19-ის გავლენა ელექტრონული სერვისებზე, კერძოდ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ელ.სერვისების მუშაობასა და ფუნქციონირებაზე, მის გამოწვევებზე.

სადისერტაციო კვლევა დაეხმარება ელექტრონული სერვისის განმახორციელებელ/მომხმარებელი პირებს. კვლევის გაცნობის შემდეგ, შესაძლებლობა ექნებათ მომავალში უკეთესი გადაწყვეტილებები მიიღონ და დაძლიონ ის გამოწვევები, რაც უკავშირდება ეფექტიან მუშაობას.

კვლევა ეფუძნება პირად გამოცდილებას, სადაც სერვისების აღწერა წარმოდგენილია ჩემს მიერ გამოყენებული ელექტრონული სერვისების პრაქტიკული ნაწილიდან, ამავდროულად, აღწერითი ნაწილი ეფუძნება ელექტრონული სერვისის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირების მოსაზრებას, რომელიც გამოიკვეთა ინტერვიუებიდან.

კვლევაში შეფასებულია ელექტრონული სერვისების დანერგვის საჭიროებები, გამჭვირვალობის მნიშვნელობა, დანერგილი სერვისების შედეგად მიღებული სარგებელი და ხაზს უსვამს მთავრობის მხრიდან განხორციელებული კონკრეტული ინვესტიციის სიკეთეებს და განსაზღვრავს იმ ძირითად სფეროებს, რომლებსაც ესაჭიროება გაუმჯობესება.

საკვანძო სიტყვები-ელექტრონული მმართველობა, ეფექტიანი მმართველობა

Abstract

The development of computer technology, digital technology and telecommunications connects the whole world, enables quick and timely integration processes, and have a great effect on the daily life of people. Digital process and technological changes have a great impact on the governance in Georgia and the development of business, including the electronic business space. Georgia has been actively involved in the introduction of e-governance for years. As a matter of course, there are many gaps and challenges, which is an irreversible process, however, the country is trying to introduce multifunctional services, by using its simplicity, saving time and reducing budget costs.

The dissertation research aims at analyze and study the effectiveness of e-governance in Georgia, in particular on the example of the National Bureau of Enforcement, which is the legal entity of public law under the governance of Ministry of Justice of Georgia.

To evaluate the effectiveness, the research focuses on the cost-effectiveness of investments, introduced e-services, compared to existing or pre-existing non-electronic alternatives. More specifically, to determine whether the benefits derived from the services outweigh the costs of introduction. In addition to this, the focus is on the timeline, the benefits of the implementing program, and the time saved.

The dissertation evaluates the effective work of the following electronic services: electronic chancellery, electronic auction, register of enforcement proceedings.

The study shows the role of e-governance in the development of socio-economic processes in the country. In addition to this, the potential and challenges of e-governance development in Georgia are analyzed.

The paper also assesses the impact of COVID-19 pandemic on the operationalization and functioning of e-services.

Findings of the dissertation research will help improvement of services to overcome the existing challenges related on effective work.

The research is based on personal experience, where the description of services is presented from the practical part of the electronic services I use, at the same time, the descriptive part is based on the opinions emerged from the interviews of persons responsible for the operationalization of the electronic services.

The study assesses the needs for e-services, the importance of transparency, the benefits of e-services, and highlights the specific investment benefits of government and identifies key areas that need improvement.

Keywords: E-governance, Effective governance

შესავალი

თემის აქტუალობა. დღევანდელ რეალობაში ინფორმაციული საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საზოგადოებრივი განვითარებისათვის. ტექნოლოგიის შუამავლობით გათვალისწინებული საქმიანობის ზრდა უკონკურენტო ტენდენციაა, რაც დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და მმართველობით პროცესებზე.

ICT-ის განვითარებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს როგორც ბიზნესის განვითარებაში, ასევე ხელს უწყობს ცალკეული ინდივიდების სოციალური ცხოვრების გაუმჯობესებას, რადგან სწორედ თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მმართველობა ამარტივებს ყოველდღიური მომსახურების პროცედურებს, ამცირებს დროს და ზოგავს დიდ ხარჯს.